



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ენციკლოპედიის
უნივერსიტეტის ციფრული ბიბლიოთეკა

უცნობი ავტორი

ქილილა
და
დამანა

უცნობი ავტორი
ქილილა და დამანა

ქილილა და დამანა

მეც მივჰყევ სპარსთა ზღაპრისა თარგმანებისა მგებართა, არავინ მიშვებს გარეგან მთათა და გინა მე ბართა; არ ვგავარ არას საქმითა ვარდთა კოკობთა მკრებართა, რა უყო, გაბჭეთ, სამუდმოდ სახმილსა მძაფრად მგზებართა. ვერ ვიტყვი ღირსად საფერად წმიდის სამების ქებასა, მოსეც შლის ამოებაზე ღმთის სახელისა ხმობასა. ზღაპარი მეთქვა ისიცა ვაკმარე ამ ამბობასა, ამისთვის აღარ მივხედე უშესავლობის გმობასა.

ანდერძი დიდს ჭირსა შინა მყოფის მეფის ვახტანგისა

ჟამსა მას პატიოსნისა და ამაღლებულისა და დიდებულისა დედათ შვენიერებისა და ღმთივ

გვირგვინოსნის მეფეთ-მეფისა თამარისა ესე წიგნი ეთარგმნათ, რომელი ცხოვრებასა ქართლისასაც წერილ არს. ამითაც საცნაურ არს: რაოდენსაცა საქართველოში ანუ არაკსა და ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსს ახლა იტყვიან, უფროსი ერთი ამაში სწერია. მაშინდელი ნათარგმნი ჟამთა ვითარებით დაკარგულიყო და შემდგომად ბატონს დავითს, ბატონის თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის არაკამდის ეთარგმნა. მაგრამ არც ლექსი გამოეღო და ზოგი სიტყვაც დაეკლო, და არც დასრულება დასცალეზოდა. მე ეს წიგნი ხელად შემომივარდა, ვნახე, რომ იყო სიტკბოთი და სარგოთი სრული. რაოდენი ზღაპრის წიგნია, და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და საამოდ საკითხავი არ იპოვებოდა. ერთს სპარსსა, რომ მცირედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოიღო, და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა

მომიხდა. ისპაანს რომ ჩავეღ, მუნ ერთს სომეხს უთხარ, რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება, და მან შეასრულა; მაგრამ ლექსი, სიტყვა და გაწყობა ბევრი დააკლდა. არათუ ჩემის რისმე დანაშაულისათვის, არამედ სული უმჯობოა საზრდელისა და გვამი - სამოსლისა. ამისთვის

მომიძულეს მე უსამართლოდ, და შემდგომად ამისა, თვისთაცა ჩემთა ნაცვლად კეთილისა მომაგეს ბოროტი, და აღმიდგეს შურად, და ამის მიზეზისათვის ტყვე-მყვეს, და შემდგომად ამისა ქირმანს წარმომგზავნეს.

ლექსი მეტყვიან ხვალმე, რასთვის გაქვს ჭირი, ჭმუნვა და წყინება? ქუჩუქას სახლსა ვსწუნობდი, როგორ ნუ მომეწყინება! ახლა ქირმანსაც დამკარგეს, დამვიწყდა ამას წინება,

არ ვეჭობ, შერჩეს ღმთისაგან, ვინც ჩემთვის ასე ინება. რა მიველ მუნ, წიგნი სარგონი არ მახლდა, და ცუდად ყოფნა სულისაც მაზიანებლად ვნახე და ხორცის საწუხრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შექცევას გამოვეკიდე.

ლექსი ცუდად ყოფნისა წამალად ვსვი ცუდი შარბათებია; მზე აღმოვიდა, მიადგა, - ბარი იყო თუ მთებია, მაგრამ მე მისი მწვერვალი არსით არ მომნათებია, ამისთვის სევდა-ნაღველი, გლახ, გულსა გამერთებია. კიდეც ვნახე, რომ კაცისათვის მრავალი სარგებელი ჰქონდა, სასმენელადაც მწვე ტკბილი და საამო იყო, და გარჯას აღარ ვრიდე ამის მიზეზისათვის. ლექსი ეს ობოლი მარგალიტი დავაცვი და დავაშადე, ჭირნი ჩემნი უსაზომო ამ საქმითა გავაშადე, სიბრძნე ჩემი, რიტორება, მოვაწვივე, მოცავხადე, მაგრამ ჩემთვის ამართული ვერ დავშალე ვერსით ბადე. თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ: ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა, და თუცა ვინმე უკეთ იტყვით, არ გიშლი, და კარგსა იქთ.

ლექსი ვინც უკეთ იტყვით, არ გიშლი, არც არას მეწყინებისა. მე ჩემმა ბედმა არ მომცა ჟამი ჩემისა ნებისა. რაც ჯავრისაგან შევიძელ, ვთქვი რამე მეღბინებისა, სხვა მეტი ვერა გავაწყევ თქმა ქების, გინდ გინებისა. მე კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დავსწერე, რომ მკითხველთ სამძულვაროდ არ უჩნდეს და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩეს. ლექსი არ ვიყავ სულად უცოდნი, ვიცოდი ენა მძიმები, მეკითხა წიგნი საღმრთო და საერო ამას წინები; ვთქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები, არვინ

გამხადოთ ამისთვის საკიცხარ-მოსაყინები.

არვის გმართებს, ვისცა ხელად შემოგივარდესთ, ამის ამბის შეუტყობარი დარჩეთ, და ან მე რა ჭირი მინახავს ამის თარგმანზე, ისიც არ შეიტყოთ და არ გასინჯოთ.ლექსი კაცი გემოს მაშინ იცნობს, ოდეს ენა დააწოსა. ღამესა ვარ უნათლოსა, მივემსგავსე მე მას წოსა. ალსა ვზივარ ცეცხლისასა, სანამ გაქრეს, უნდა მწოსა. კაცსა ბედი ვერას არგებს, თუცა ღმერთი არ ემწოსა.სპარსთ ენაში მეტად ტკბილად და კარგად უთქვამსთ. ამასაც ნახავთ, ლექსი ლექსად გარდმოვსთქვი უკლებრად, რომელი ოთხ-მუხლი იყო, ანუ ორ-მუხლი, ანუ ერთ-მუხლი, ანუ ათ-მუხლი, მეტი თუ ნაკლები, და ამბავი-ამბად. მაგრამ ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმანება, ამბად მოვა, და მე იმავე ამბის გალექსვა მოვიხდომე. და ეგება ლექსი არ მოგეწონოსთ, გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისე ველარ იტყვის. სპარსის ლექსის იგავნი ამის უკეთ ქართულად ვერ მოვიყვანე, თვარემ სპარსულში დიად გაწყობილია.ლექსი ეს ქილილა და დამანა ბრძენთაგან გამოთქმულები, სპარსთა ენითა სიტკბოთი დაშაქრულ-დამბასულები, ვპოე და ჩვენად გარდმოვსთქვი ყვავილი ტურფად რგულები, ლექსი ლექსად და ამბავი არც ერთი დაკლებულები.როგორც მათში იყო, ამბავი თავის ადგილს, და ლექსი თავის ადგილს დავსწერე. ამთონის ჩემის ჭირის ხელფასად ლოცვა და შენდობა რომ წესია, ავ-ენობის პირს მაინც ნურვინ გახსნით. ლექსი ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი, ყურითა ტკბილად სასმენი, სულით ვარდი და იანი, მკითხველთა სარგო მრავალი, არათი არა ზიანი, ვსწერ მეფე ვახტანგ ქართველთა, თესლ-ტომად დავითიანი.

კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულები. მამცეს პატივი მრავალი, ვა, თუ დავაბი სულები! მან თავის ტოლად მადიდა, არ შემქნა უფლისწულები. წარმავალია ყველაი, ჟამი მიც გარდასრულები. არ დამცალდა სხვას ლექსთა თქმა, მიხმეს ისევ კიდევ კარად, ხორცისათვის საპატიოდ, სხვას ბევრ რიგად დასაზარად.რა ვქნა, არვინ არ გამოჩნდა არასფერში მოსახმარად? მოუძღურდა ხორცი

სუსტი, რაღა მეთქვა მსმენთვის მწარად? არ იცოდით, არ გმართებდათ ჩემი ასე გარდაგდება? სამთავსა და კვერსა შუა ჭიქა როგორ გამაგრდება? ტალსა კვესსა რა ჩამოჰკრავ, აბედს ცეცხლი მოედება, ცეცხლსა მძაფრსა ნავთს დაასხამ, მითხარ, როგორ დანელდება? თვითვე ნანობენ უგბილნი, თუცა ბევრს ჭირსა მახესა, ლომი დაბმული აეხსნას, ვაცსა გააბამს მახესა; რაღასლა ვეძებ სახვეწრად კლდესა, ტყესა და მა ხესა, რაც ერგოთ ჩემის ამ საქმით, აწა თვითანცა ნახესა. ჩემნო გულის შემტკივარნო, იწუხეთ და ჩემთვის ახეთ, ჭირნი ჩემნი სხვათა ჭირთა მიაძგავსეთ, მიასახეთ; სოფლის საქმეს ყური უგდეთ, ან იტირეთ, ანუ ვახეთ. აბედინას-შვილის ამარ დავრჩომილვარ, აწ ეს ნახეთ! ვით წინა ლექსი აჩენს, მე დამრჩა გაულექსავი და სულხან გალექსა, ყაფლანისშვილმან, რომელი ბოლოდ მონოზონ იქმნა და ეწოდა საბა. ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა დიდად შეჭირვებულ-შეღონებულისა ესე წიგნი ქირმანსა და ისპაანს შეჭირვებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნავს, გონების ურვის წამლად მოემუშავა მეფე ვახტანგს ქართველთასა, სპარსულისაგან ქართულად ეთარგმნინა. შაირი მცონარს სოლომონ აძაგებს, ჯინჯველი მოსწონს ქებითა, მუშაკნი სამუშაკოთა ვერ აღასრულებს დებითა. ამისთვის მრავალს გარჯილიყო და დიდის ჭირით ქართულად გამოედო. და თვითონ ზედმიწევნით სპარსული არ იცოდა, და მთარგმნელებიც თავის გუნებისა ვერ ეშოვნა, და მირევ-მორევით გარდმოეთარგმნათ. სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაის მცოდინარისაგან, გამოთარგმნა ძნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ართრონი ან მოუმატოს, ან დააკლოს, თვარამ სწორად ისე უგემური მოვა. რა გაეთაებინა, ქართლში სულხან-საბა ორბელიანისათვის გამოეგზავნა და მოეწერა მაღალსა მდაბალი ბოდიშებით. შაირი აწ მოიგონე შენ ჩემი პირველი სიყვარულია, ეს საქმე კარგად მისაქმე, თვალთ ნუ მოგივა რულია. და ებრძანა: ეს ჩემი ჭირნახული გაჩალხე გემოანად, და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრევე ქართულად ლექსები ჩაურთეო. ეს სულხან-საბა ორბელიანი გიორგი მეფის დედის ძმის-წული იყო, და მისგანვე შვილურად გაზრდილი და განსწავლებული, და ვახტანგ მეფისა ბიძად და

გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი. ამ სოფლის სიმუხთლემ ერთმანეთს მოაშორა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი დახეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწყრომელი შექნეს, და მერმე ეს ბძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა, თვარამ მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწესოა და ურიგო.

შაირი მონაზონი საღმთო წერილს მართებს წერდეს, გინდა ბერი, ამისთანას სამსახურსა მეფისასა ჰყოფდეს ერი. ბერი-მონაზონი რომ მოსეს წიგნის ნაცვლად ქილილა დამანას აკეთებდეს, ვეჭობ მეფესაც გაეცინოს, და ბიბლიას უცხო-უცხო ამბების დაკარგვის ცეცხლის კვამლი რა გონებას შემოეხვიოს, სადღა დარჩება ცნობა, რომ ეს წიგნი გვარიან და ტკბილად გააკეთოს. თქვა არაკი: მზე და ვარდი იყო წალკოტსა შინა ვარდი ერთი მრავალ ყვავილთა შინა. და შეიყვარა ვარდი იგი მზემან, და თვისსა სხივთა ზედა-ზედ მიაყენებდა, და ცის ცვარით ნიადაგ რწყვიდა, აფერიანებდა და ასუნელებდა, და წყალნი მისნი მრავალთა სნეულთა ჰკურნებდა. მისგანვე განკურნებულნი კაცნი აღუშურდენ ვარდსა მას, და აღაკვამლეს ჰაერი ძნელად, და შერთეს ღრუბელთა, და განფინეს ნისლი შავი ცათა შინა, რათა ვერღარა იხილოს მზემან მან ვარდი იგი, და მოაკლდა ნათელი მზისა, და დაჭნეს ყვავილნი ვარდისანი და განქარდეს სუნელება მისნი. შაირი შრომანს და კელსა ნიადაგ მზე მიჰფენს მისთა შუქებსა, შრომანს სუნითა აყნოსებს, კელს მიწის პოხად

უქებსა, მეფე ხამს ჩხრეკდეს საქმეთა თვისთა და სხვის საჩუქებსა, ორგულს შენდობა ეყოფა, ერთგულთ უნჯს მიუქუხებსა. რადგან მზე თავის შარავანდელს სწორად მიაყენებს ყოველსავე, მაგრამ ნიშატსა, ძალსა და საქმეს ყველაკასა სხვადასხვას მისცემს, კაცმან ეს წიგნი ბოლომდე გაჩხრეკით უნდა წაიკითხოს, რამდენი რიგი კაცია და რამდენი რიგი საქმე უნდა, ესევ ასწავლის.

თქვა არაკი: ზღვა და დელფინი იყო უკიანესა ზღვასა შინა თევზი ერთი დელფინი, და უყვარდა ზღვასა მას დელფინი იგი, და ზრდიდა ყოვლითა საზრდელითა. და ესეთი ყმობა ჰქონდა ზღვასა

მასთანა, მისის ვედრებით მეთევზურთა თევზითა ბადეთა აღუვსებდის, მენავეთა წინა-უძლოდის და ნავთსაყუდლად მიუძღვის, და ყოველთა კეთილთა უზმიდის. აუმტერდენ მისგან გამოზრდილნი კაცნი და სხვანიცა, და პოეს ჯადეგი ვინმე, და აღმოუწოდეს ქარსა ჩრდილოსასა. აღაქოთეს ზღვა იგი დელვითა, და ლადომან გაიტაცა დელფინი ხმელად და დარჩა მუნ. შაირი მტერმან ლოდი მომახვედრა, მოყვარემან ვარდის კონა, ეგრე მტერმა ვერ მატკინა, მოყვრისამან შემადონა! ზღვა რა დასწყნარდა, მოიკითხა თავისი დელფინი. ყველა შეიტყო, მაგრამ დელფინს რაღა არგებდა. გონება კაცისა, და მეტადრე მძლავრთა, ზღვისაგან უძნელესად აღელდებიან ავთა ენათაგან, მაგრამ კაცი თავისუფლად შექმნა ღმერთმან, რაც უნდა თვითა, მის მეტს არასა იქმს, და ასეთი უნდა ქნას, თვითანვე თავი არ შეეწყინოს.

შაირი ერთგული იღვწის მეფისგან შენდობას

ორგულისასა, ორგული ცდილობს მასთანვე გაძებას ერთგულისასა. ცნობა ხამს ამა საქმისა, მომღებელია რისასა, ღმრთის მიერ დადგინებული ბაძვიდეს კვალსა

ღმრთისასა. თუ არა ენა-მხცოვარსა და ბრძენსაც ადრე მოატყუებს, თუ არ გაშინჯა. თუ არა, გამოუცდილისა რა დასაბრალებია? თქვა არაკი:

მეფე და მეძებარი იყო მეფე ერთი და ჰყვა მეძებარი ერთი კვალთა მეკვლე, დიდად საყვარელი, რომელსა წამსა არა განიშორებდა. ჰყეფდა კარმიდამოთა მისთა და დარაჯობდა ლამე ყოელ; ნადირთა კვალთა უკვლევდის და გემოანთა ნადირთა ანადირებდა. ზრდიდა მეფე ტაბლისაგან მისისა და ანებარებდა კეთილად, და ძალლი იგი მეფის ტაბლისაგან წაიღებდა საჭმელთა, და სხვათა ძალლთა ზრდიდა მით. და თავს აწყინებდა მეფესა სხვათა მათ ძალლთათვის ესოდენ, მრავალგზის მეფეცა განარისხის.

შაირი ვინცა გავკურნე, დამკოდა, წყლულზედ დამადვა ხონდრონი! - ბოროტნი ბოროტს ეძებენ, ბოროტად მონახონ დრონი! აღბორგდენ ძალლნი სხვანი ნაკვეთარსა მათსა ზედა. ყოველივე შურითა ცოფიან

იქმნეს, მეფისა იგი საყვარელი ძალი განიოტეს, და მერმე მეფეცა იგი დაღერღეს, და თვითანცა მოისრნეს. მეფესა მისი მეძებრისა სახელიცა დაავიწყდა. გამოხდა ხანი და ერთი უცხო ნადირი გამოჩნდა, საწადელი მეფისა, და აღარსად იყო მეკვლე ასეთი, რათა ნადირი იგი მოენადირა და მისისა გემოთაგან გამაძღარიყო. მაშინ მოაგონდა მეძებარი თვისი მეფესა ნადირისა მის შესაპყრობელად. უწოდდა და უშტვენდა მეფე ძალსა მას. მოვიდა ძალი იგი ყინვისაგან ფრჩხილდაცვეთილი, შიმშილით თვალდაკლებული, და ხმელის ძვლის ღრღნით კბილ-შემუსვრილი, და სიბერითა დღე-მოკლებული. თქვა ძალმან შაირი:

მეფისთვის მოვკვდი, ვერა ცნა, არც ვინ აუწყა

შორითა, ჩემნი ერთგულნი სარჯელნი ბოროტად უთხრეს ჭორითა! რითღა უნდა შესძლებოდა ძალსა მას შეპყრობა მის ნადირისა? მანამდი უნდა მოსამსახურე მეპატრონემ არ მოიძულოს, თვარა რა მოკვდება, ტირილი ველარ გააცოცხლებს, არცა წყენა წასულს საქმეს-ღა მოაბრუნებს. შაირი მეფეს თუ ყმანი არ ახლავს, რითა სცნან მისი მეფობა? ბატონის ანდერძს ქვემორე ამისთვისა ვქენ ყეფობა. არაკები: მელი და ტაბლი ერთი მელი ერთსა ტყეთა შინა იარებოდა, მძორთა პოვნისათვის ყოვლგნით დაცანცალებდა. მუნ ერთი ხე იდგა, და მას ხეზედა ტაბლი ვისმე ჩამოეკიდა და დარჩომოდა. ესრე ეკიდა, რომე რა ქარი მოვიდის, ხის შტო შეძრის, ტაბლს მოხვდის და დიდი ხმა გამოვიდის. მის ხის ძირს ქათამი ნახა, რომე საკენკთა კენკდა. მას პარვა დაუწყო, მონადირებას ცდილობდა. ანაზდად ტაბლის ხმა შემოესმა, მიხედა - ერთი დიდ-ტანოანი, მეტად მსუქნის მსგავსი და საზარელ-ხმიანი ხეზედ ნახა. მელმა სიხარბით აღარა გასინჯა რა, და თქვა: მისი ხორცი და ტყავი მისის ხმის ოდენი იქნებო, ქათამი იგი გაუშვა და პირი ხეს მიაპყრა. ქათამმა შეუტყო და გაექცა. მელი ათასის ხრიკით მას ხეზედ გავიდა, ტაბლი გახია, ნახა - ხისა და ცოტა ხმელი ტყავის მეტი არა იყო რა! ქათმის მოშორვების ცეცხლი გულთა მოეგზნა და თქვა: ვაიმე, რომ ამ დიდ ტანოვანისაგან უცოდინრად მოვსტყუვდი, და ჩემი უცოდველი ნადირი უვნებლად გაუშვი, და მისი შვენიერის სახისაგან სარგებელი ვერარა

ვნახეო!

ჩახრუხაული მაღლა ხმობს დაფი, ყვირის დაფდაფი, მოსავლად გვიძღვნის არას სარგებლად, ვაქებ მრიგავთა, მძებნელ იგავთა, სახეს არ აჰყვეს შესაზარებლად.კუ და ღრიანკალი

ერთი კუ და ერთი ღრიანკალი კამყოლნი იყვნეს და ნიადაგ ერთმანეთს არ მოშორდებოდენ. ასე მოყვარულნი იყვნეს, კუდი - კუდს გარდაბმული ჰქონდათ, და წამსაცა არ გაიყრებოდეს.

ლექსი დილით მწუხრამდე ალერსი მათ ჰქონდა

გაუწყვეტელად, საღამოთ გათენებამდე ჯდომით თვალ-დაუბლეტელად.ესეთი დრო შემოუარდათ, რომე მუნ ყოფით სხვაგან წასვლის საქმე მოუხდათ. რა გაემართნენ, სლვასა შინა ერთსა მდინარესა მიადგნენ. ღრიანკალსა მას შიგან გასლვა არ შეეძლო, დია დაღონდა და მოიწყინა.

კუმ უთხრა:

- ჰე, საყვარელო ძმაო! რა გეუფლა, რომე სულთა საყელონი საგონებელის ხელთა მოგიცემიეს, და გულისა სიმხიარულისა და ღბინისა კალთა ზე აგიკეციეს?

ღრიანკალმა უთხრა:

- მე ამა მდინარისა გასვლა არ ძალ-მიც, და ამისა ზრუნვისა მორევთა შთავარდნილვარ, არცა გაღმა გასვლა შემიძლია, და ვერცა გაყრისა და მოშორებისა ნავლელი დამითმენიაო.

თქვა ლექსი შენ წახვალ, მე აქ დავრჩები, საბრალო, უმეყვისანი, უშენოდ სწრაფად დამიდნეს გულიცა მქონდეს

ქვისანი.კუმ უთხრა.

- ნურასა იურვი, მე ამა მდინარესა გაურჯელად და მშვიდობით გაგიყვან. ჩემსა ზურგსა შენთვის გავახომალდე, და ჩემთა მუცელთა შენისა ჭირისა ფარად შევიქ, ამისთვის რომე ერთისა მოყვრისა ძნელია ათასის ცდითა ხელთა ჩაგდება და მერმე ადვილად გაშვება.

უთხრა ლექსი სჯობს, რომ რაც გქონდეს გაჰყიდო, იყიდო მოყვარენია, არ გქონდეს, მოყვრის სასყიდლად სულიცა

საადრენია. მაშინ კუმ ღრიანკალი ზურგთა აღისვა, მკერდი წყალთა დააპყრა და ცურვა დაიწყო. ცურვათა შინა კუსა ხმა რამე ესმა, და ღრიანკალისა გარდაჭრისაგან შეეშინა. ხმა უყო:

- რაისა ხმა არს, რომე მესმისო? ღრიანკალმა უპასუხა:

- ჩემსა საშართა წვერთა შენთა ტან-საცვამთა ჯავშანთა ზედა გამოვსცდიდი და ვსინჯევდიო.

კუს ესე დიად ეწყინა და უთხრა:

- შენ მუხთალო, ჩემი სული შენთვის საკვდავად მორევთა ჩავაგდევ და ზურგი ნავად შეგიშზადე, და ამა მდინარეთა შინა უზრუნველად მიმყავხარ, და აწ ამასაც არად შემირაცხ, და პირველთაცა შვებათა დაივიწყებ, მაგა შაშრითა ჩხვლეტასა რაღას მემართლებიო? ესეცა ხომე იცი, შენი საწერტელი მე ვერარას მავნებს, და შენი ნაწრთობი შაშარი ჩემსა ზურგსა ვერა განჰკვეთსო? უთხრა ლექსი ვინცა გამწყრალმან მჯიღითა კლდესა სცეს გარისხებულმა, - ხელს იტკენს, მას ვერას ავნებს, არ იცის

ვაგლახებულმა? ღრიანკალმა უთხრა:

- ნუ ეჭვ, მე ესე შენთვის სააოდ არ მიქნია, და არცა ეგეთსა საქმესა გულთა ჩემთა გაუვლია, მაგრამე ჩემსა გვართა შაშართა ხმარება მოსდგამსთ; მოყვარეთა ზურგი არს, გინა მტერთა მკერდი - უნდა ვახმაროო. შაირი თუ ვისმე მოდგმა ბოროტი აქვს ოდენ მისის გვართა, რომ არ უნდოდეს ავის ქნა, არ წასცდეს იქმნას არითა. ვითა ქვას ვერას დააკლებს, გასახვრეტელად სართა, მაგრა კვლავ უცემს კუდითა გესლიანითა, მწართა. კუმა გულთა შინა თვისთა ესრე თქვა: ბრძენთა

კეთილად უთქვამსთ შაირი ვინ ჩვენთვის არად ვარგია. ჩვენ კეთილს რადლა გველოდა? მეტყვის: გამზარდე, მაჭამე, ღვინითა სავსე გველოდა, ჭკუისა გზათა შემცთართა სჯობს ჩვენი თავი გველოდა, ამას ჰგავს უხმოთ მოწვევად, უბითა გაგზრდი გველო და?!

ავ გუნება და უგვარო კაცის გაწვრთა და გაწყობა - თვისის პირის წყალთა გაშვება არს და თვისის საქმიანობისა საბელთა წვერთა დაკარგვა.

უთხრა ჩახრუხაული

ოქრო და ვეცხლთა მიწათ ჩაბნევა ბრძენმა ეგოდენ ვერა

გიძრახონ, მაგრამე ავთა კაცთა უზავთა წყალობას ზედა იახონ, ახონ.

კუმ უთხრა: თუცა შენი მოდგმა შაშრით ჩხვლეტაა, ჩემი ყურჭუმელი არისო. ჩაიყუნთა წყალთა შინა, წყალს წააღებინა და თქვა: ბრძენთ ნათქვამია, ვინცა გვარ- ქებული არ არის, მისგან უიმედო იყაო, და ესე- გვარსა კაცსა რომე კეთილი უყოს კაცმან, იგი კეთილისათვის ბოროტსა მიაგებსო, მან თუცა კაისათვის ავი არა ქნა, ცოდვათაც მიაჩნიაო. თქვა შაირიუგვარო კაცსა რად მისცე საინახენი ზემონი?

ვინც გველი უბეს ჩაისვას, საქმე ყოს გასაჩემონი. ჭილი აკეთო, ვერ მოგცეს შაქრის ლერწმისა გემონი, ვარდის მოკრეფას ნუ ელი, ძეძვისა რწყო გარემონი.

იხვი და მთვარის შუქი

ერთმან იხვმან კამკამსა წყალსა შინა მთვარისა სახე და შუქი

ნახა, თევზსა ამსგავსა და შეპყრობა მოინება. რა ჩაიყუნთა, ვერღარა ნახა-რა. მრავალჯერ ეცადა და ვერ შეიპყრა. რა ნახა, რომე მისი მოსავალი ამა ნადირობითა მწყურვალნი დარჩომილიყო, და წყლის სიმამღრითა და მრუდის გონებითა მოსავლისათვის დაქცეულსა მორევსა სინჯვიდა - თევზისა ნადირობისაგან ერთობით ხელი აიღო. თვისი საქმე ყოელივე გაუშვა. რასაც ღამესა თევზთა ნახვიდა, მთვარისა შუქი ეგონის, და არღარა სდევდა შეპყრობად, და მისა დაჭირვასა აღარა ცდილობდა, და იტყოდა: ამას საცადლისა ხილი ესე იყო, ნიადაგ ჩემთა დღეთა შინა მშიერი და უმდღევარო

დავარდიო. მონადირე, მელი და ვეფხი

ერთსა დღესა ერთი დია ცქვიტი მელი მინდორთა შიგა ჩქარად ვიდოდა, ხლტოდა და ყოვლგნით ცაქცაქებდა. ნახა მონადირემან ვინმე, და მისი ბეწვი დია მოეწონა, და ძვირად გასყიდვას იგონებდა. სიხარბის ძალმა ამა იმედზე დააყენა, რომე იგი შეეპყრა. რა მელმა კაცი ნახა, სოროთა შიგა შეიჭრა. მონადირე უკან მიპყვა, მისი სორო პოვა, და სოროთა პირსა ერთი ორმო ჩაუთხარა, და ზედ კაჭაჭი წააბურა, და ზედან მძორი რამე დაუდვა. და იგი შორი-ახლო მოფარებით დაუდვა. მის მელის ამ საქმით დაჭერას ელოდა.

მელი სოროთ გამოვიდა და მის მძორის ნათრევს

სუნვით მოჰყვა. ორმოსა პირსა მოადგა რა მძორი ნახა, თქვა: ამა მძორისა სუნის ნდომა საყნოსელთა ესუნელება, მაგრამე ჭირისა სუნი ჩემთა ცხვირთა ეცემა! რა ჭკუათა უფალნი ერთისა რისამე ახლორე შიშსა გულობდეს, არა მივლენ მუნ; მცოდინარეთა, რომელსაცა საქმეთა შინა საჩხუბარი რამე გულვებით, აღარა უქნიათ.

ტაეპი სად ევლოს ძნელი წრენია, შიგა ნუ შეესწრენია!

აზრი იკრა და თქვა: იქმნების, აქა ნადირი რამე მომკვდარიყოსო, და ესეცა ქნილა. მის ქვეშე საბრხე რამე შეემზადოსო? ყოველთა საქმეთა ზედა სიფრთხილე უმჯობესიაო.

თქვა შაირი რა ორი საქმე მოგადგეს საჭირო, მოსაგებელი, არა იცოდე რა

ხამდეს საქნელად შეუგებელი: რომელსაც ჭირი და შიში მოსდევდეს გაუგებელი, იგი განაძე, შენ დარჩე ლახვართა დაუგებელი.

მელი ამ რჩევაზედ დაემტკიცა, და მის მძორისაგან ხელი აიღო, და სიცოცხლის გზაზედ გაირბინა. ამაზე ერთი მშვიერი ვეფხი მთით ქვე ჩამოვიდოდა, მძორისა სიმყრალე ესუნა, მიიჭრა და მას ორმოსა ჩავარდა. რა მონადირეს ორმოს საფარის ჩაქცევისა დ შიგა ჩავარდნის ხმა ესმა, მას მელის ჩაჭრა ეგონა, მეტის ნდომით სირბილში ფეხი შეუცთა და თვითაც ორმოთა ჩავარდა. ვეფხსა მძორისა მაცილებელი ეგონა, შეეხა და უპე გაუპო. მონადირე სიხარბითა და მეტის ნდომითა სიკვდილის საფრთხეთა გაება. თვისის სიხარბის მოკვეთითა და ცოტას მოთმენითა მელი ჭირისა და ვაებისაგან გარდარჩა. უცხო კარგ ქალს ვინ ღირსა, მოარჩენს ჭირსა, ზრუნვას მოილხენს, ვინ უჭკრეტს პირსა. ნუმცა შეხვდები ანჩხლსა და ძვირსა, ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია! ავგულნი ქალნი, სახმილის აღნი, რაგინდ შვენოდენ, როგორცა ლალნი, მაშინც არ ვარგან, ვითა კლდე სალნი, ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია! ურცხვია დიდად. ქმარს გახდის ფლიდად, ზედ სვლას დაიწყებს, გაიდებს ხიდად, არად შეირცხვენს შვილის გასყიდად, ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია! თვისსა ნაქმარსა, აბრალებს ქმარსა, დღე-ყოველ თვალში აწურებს ძმარსა, მალ-მალ აგინებს: «ვა, შენს ამარსა!» ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია! ქმარს ზედა სხენან, დეზითა სჩხვლენან, ხელთ-ტართა ასთვენ და ჩქარად ვლენან, ზედ დაჰყვედრიან: «რად ესრე ჰქმენან!» ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!